

**საბჭოს 2002 წლის 28 ნოემბრის დირექტივა 2002/90/EC ქვეყანაში უკანონო შესვლის, ტრანზიტისა და ბინადრობის ხელშეწყობის განსაზღვრის შესახებ**

*ოფიციალური ჟურნალი L 328 , 05/12/2002 P. 0017 – 0018*

ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებს რა, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებას, კერძოდ, მისი 61-ე მუხლის „ა“ პუნქტსა და 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს,

ითვალისწინებს რა, საფრანგეთის რესპუბლიკის ინიციატივას (1),

ითვალისწინებს რა, ევროპარლამენტის მოსაზრებას (2),

ვინაიდან:

(1) ევროკავშირის ერთ-ერთი მიზანია თავისუფალი, უსაფრთხო და სამართლიანი სივრცის თანმიმდევრული შექმნა, რაც, ამავდროულად, ნიშნავს, რომ აუცილებელია არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლა.

(2) შესაბამისად, მიღებული უნდა იქნეს არალეგალური იმიგრაციის ხელშეწყობასთან ბრძოლის ისეთი ზომები, რომელიც უკავშირდება როგორც საზღვრის უკანონო გადაკვეთას, ამ სიტყვების მკაცრი გაგებით, ისე - იმ ქსელების შენარჩუნებას, რომლებიც ექსპლუატაციას უწყვენ ადამიანებს.

(3) ამ მიზნით, მნიშვნელოვანია არსებული საკანონმდებლო ნორმების დაახლოება, განსაკუთრებით, ერთი მხრივ, კონკრეტული დარღვევისა და გათავისუფლების შემთხვევების ზუსტი განმარტება, რომელიც წარმოადგენს ამ დირექტივის საგანს და, მეორე მხრივ, მინიმალური წესები ჯარიმებისთვის, იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა და იურისდიქცია, რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში უკანონო შესვლის, ტრანზიტის და ბინადრობის ხელშეწყობის პრევენციის შესახებ საბჭოს 2002 წლის 28 ნოემბრის 2002/946/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების საგანს (3).

(4) ამ დირექტივის მიზანია, უზრუნველყოს არალეგალური იმიგრაციის ხელშეწყობის განმარტება და, შესაბამისად, 2002/946/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების უფრო ეფექტიანი განხორციელება ამ დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

(5) ეს დირექტივა ავსებს სხვა ინსტრუმენტებს, რომლებიც მიღებული იქნა არალეგალური იმიგრაციის, არალეგალური დასაქმების, ადამიანებით ვაჭრობის/ტრეფიკინგისა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

(6) რაც შეეხება ისლანდიასა და ნორვეგიას, ეს დირექტივა გამომდინარეობს შენგენის კანონმდებლობის დებულებებიდან, ევროკავშირის საბჭოს და ისლანდიის

რესპუბლიკისა და ნორვეგიის სამეფოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების მნიშვნელობის ფარგლებში, რომელიც ეხება ამ ორი სახელმწიფოს ასოცირებას შენგენის კანონმდებლობის განხორციელებასთან, გამოყენებასა და შემუშავებასთან, რაც მიეკუთვნება ზემოხსენებული ხელშეკრულების განხორციელებისთვის საჭირო ზომების შესახებ საბჭოს 1999 წლის 17 მაისის 1999/437/EC გადაწყვეტილების 1-ელი მუხლის „ე“ პუნქტში ნახსენებ სფეროს.

(7) გაერთიანებული სამეფო და ირლანდია მონაწილეობენ ამ დირექტივის მიღებასა და გამოყენებაში, საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების თანახმად.

(8) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების თანახმად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, დანია არ იღებს მონაწილეობას ამ დირექტივის მიღებაში და არ ევალუა მისი გამოყენება. იმის გათვალისწინებით, რომ ეს დირექტივა, ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების მესამე ნაწილის IV კარის დებულებების თანახმად, შენგენის კანონმდებლობას ეფუძნება, დანია ვალდებულია, აღნიშნული ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად, საბჭოს მიერ ამ დირექტივის მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში გადაწყვიტოს, დანერგავს თუ არა ამ დირექტივას თავის კანონმდებლობაში.

იღებს წინამდებარე დირექტივას:

## მუხლი 1

### ზოგადი დარღვევა

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი საჩქციები:

(ა) ნებისმიერ პირთან დაკავშირებით, რომელიც განზრახ ეხმარება პირს, რომელიც არ არის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლაში ან ტრანზიტით გავლაში, რითაც არღვევს კონკრეტული სახელმწიფოს კანონებს უცხოელთა შესვლასთან ან ტრანზიტთან დაკავშირებით;

(ბ) ნებისმიერ პირთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსური მოგების მიზნით განზრახ ეხმარება პირს, რომელიც არ არის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, იცხოვროს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რითაც არღვევს კონკრეტული სახელმწიფოს კანონებს უცხოელთა ბინადრობის შესახებ.

2. ნებისმიერმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ არ დააკისროს საჩქციები 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ ქმედებაზე და ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა გაავრცელოს ისეთ შემთხვევებზე,

რომლებშიც ქმედების მიზანია კონკრეტული პირისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა.

## მუხლი 2

### წაქეზება, მონაწილეობა და მცდელობა

თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ პირველ მუხლში ნახსენები სანქციები ასევე გავრცელდეს ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც:

(ა) არის წამქეზებელი,

(ბ) არის თანამონაწილე, ან

(გ) ცდილობს ჩაიდინოს დარღვევა, როგორც ეს ნახსენებია 1 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტში.

## მუხლი 3

### სანქციები

თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ დარღვევები, რომლებიც ნახსენებია 1-ელ და მე-2 მუხლებში, დაექვემდებაროს ეფექტურ, პროპორციულ და პრევენციულ სანქციებს.

## მუხლი 4

### განხორციელება

1. წევრმა სახელმწიფოებმა 2004 წლის 5 დეკემბრამდე უნდა აამოქმედონ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც აუცილებელია ამ დირექტივის განსახორციელებლად. მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას ამის შესახებ.

როდესაც წევრი სახელმწიფოები მიიღებენ ამ ზომებს, მათ უნდა მიუთითონ ამ დირექტივაზე ან თან დაურთონ ასეთი მითითება, მათი ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში. ასეთი მითითების განხორციელების მეთოდები განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების მიერ.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი დებულებების ტექსტი, რომელსაც ისინი მიიღებენ იმ სფეროში, რომელსაც მოიცავს ეს დირექტივა, ცხრილთან ერთად, სადაც ნაჩვენებია

იქნება, თუ როგორ შეესაბამება ამ დირექტივის დებულებები ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს. კომისიამ უნდა აცნობოს სხვა წევრ სახელმწიფოებს ამის შესახებ.

## მუხლი 5

### გაუქმება

1990 წლის შენგენის კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტი 2004 წლის 5 დეკემბრიდან უნდა გაუქმდეს. თუ წევრი სახელმწიფო ამ დირექტივას 4-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ თარიღამდე განახორციელებს, მოცემული დებულება აღარ გავრცელდება წევრ სახელმწიფოზე მისი განხორციელების დღიდან.

## მუხლი 6

### ძალაში შესვლა

წინამდებარე დირექტივა ძალაში უნდა შევიდეს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნების დღიდან.

## მუხლი 7

### ადრესატები

წინამდებარე დირექტივა შეეხება წევრ სახელმწიფოებს, ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების შესაბამისად.

მომზადებულია ბრიუსელში, 2002 წლის 28 ნოემბერს.

საბჭოს სახელით

პრეზიდენტი

ბ. ჰაარდერი

(1) OJ C 253, 4.9.2000, გვ. 1.

(2) OJ C 276, 1.10.2001, გვ. 244.

(3) იხილეთ ოფიციალური ჟურნალი, გვ 1.

(4) OJ L 176, 10.7.1999, გვ. 36.

(5) OJ L 176, 10.7.1999, გვ. 31.